კვირა, 1918 წ. აგვისტოს 11 № 145
ყოველდღიური გაზეთი

კვირა, 1918 წ. აგვისტოს 11 № 145
ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ...ლი ...ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათ. შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი № 76.**

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ანტონ პეტრეს ძე ქურციკიძე,

რისაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის ძმისწულები: პოლკოვნიკი ლეონ ალექსის ძე, ლესიკა, მარიამ, ეკატერინა და ელენე ალექსის ასულნი; გიორგი კაპიტონი სერგია ნიკოლოზის ძენი, დარია ნიკოლოზის ასული ქურციკიძეები და სიძეები დარისპან დავითის ძე პეტიაძე, გედევან დიმიტრის ძე წერეთელი, სამსონ გიორგის ძე და მეუღლე მისი ესმა მიხაილის ასული წერეთლები.

პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე (ძველი დროით). გამოსვენება მოხდება 11 აგვისტოს კვირეს ნაშუადღევის 4 საათზე (ძველი დროით) საკუთარი ბინიდან (ოლდენბურგის ქუჩა № 10) საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე ბარათები არ დაირიგდება. (ბ—ბ)

ქვრივი ნატალია გრიგოლის ასული წიქორიძისა, ბიქტორ სიმონის ძე წიქორიძე და ირინა მჟავანაძისა; ალექსანდრე სვანიძისა; პელაგია ახვლედიანისა და ნინა ჩაჩუასა; გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარის მეუღლისა ხოლო მეორენი ძვირფასისა ბიძისა

## თადეოზ ოქროპირის ძე წიქორიძისას,

დაკრძალვა მოხდება მარიამობისთვის 11-ს, (29) დღით კვირას, ნაშუადღევის ოთხ საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ბალის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში ცალკე ბარათები არ დარიგდება. (ბ—ბ)

მარიამ გრიგოლის ასული ბახტაძისა, ანნა გრიგოლის ასული კუპრაძისა, პეტრე, მიხეილ და იაკობ გრიგორის ძენი მირიანაშვილები, დიმიტრი მიხეილის ძე ბახტაძე და ბიქტორ ლევანის ძე კუპრაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა სიძის, ხოლო უკანასკნელი ორის ქვისლის

## თადოეზ ოქროპირის ძე წიქორიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას აგვისტოს 11, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ბალის ქუჩაზე საკუთ. სახლებში. (ბ—ბ)

დები: მარო და ბაბო; სიძეები: დათიკო წულუკიძე და ლუკა საყვარელიძე; ბიძები: ნარიმანი, დათა, ლომინა და ვასიკო გუნცაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავისი ძვირფასი

## გიორგი ილიას ძე კიკნაველიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, სამხედრო ჰოსპიტალში. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

მე-12 ქართველი მსროლელი პოლკის კომანდირი და ოფიცერთა კორპორაცია ულრმესის მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებასა და მე-12 პოლკის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ერთგული მამულიშვილის აღნიშნული პოლკის პირველი ბათალიონის კომანდირის პოდპოლკოვნიკ

## დავით სოლომონის ძე წერეთლის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლიდან მოხდება დღეს, აგვისტოს 11 ს, საღამოს 5 საათ. ღამა საჩხერეში.

# სია № 2

### საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საერობო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში.

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე—ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე—გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე—ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე—საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩი ოვანი** ილია მანუჩარის ძე—ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე—საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** აჰრონ იაკობის ძე—კომერსანტი.
9. **პურადაშვილი** ივანე ისააკის ძე—აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე—ნაფიცი ვექილი.
11. **ბასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე—კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ მერაბის ძე—მღებავი.

საყურადღებო **განცხადება!**

საჭიროა ერთი გაზეთის დამტარებელი და ერთიც კანტორაში მომუშავე ყმაწვილი. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## განცხადება.

„ქართული საავტომობილო და სააქციონერო საზოგადოება“

ეს საზოგადოება შესდგა 1918 წ. ქ. ქუთაისში.

მისი მიზან-დანიშნულებაა, მოაწყოს სრულიათ საქართველოს იმ კუთხე-მხარეებში სადაც რკინის გზები და ავტომობილები არ არის საბარგო და სამგზავრო

**ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ე ბ ი ს   მ ი მ ო ს ვ ლ ა,**

რათა მძიმე აუტანელ მდგომარეობიდან იხსნას ხალხი.

საზოგადოების ძირითადი თანხა ამ ჟამათ 300,000 მანეთამდის აღწევს. საზოგადოებამ თავისი წესდება თანახმად გამოსცა ყველასათვის ხელმისაწვდომი 500-500 მანეთიანი აქციები და მსურველს შეუძლია მისი სყიდვა-შეძენა შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, 1) რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების კანტორაში პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი კ. ქუთათელაძესთან 9—1 საათ. 2) ქუთაისის საურთიერთო ბანკის გამგეობის წევრთან პ. უზნაძესთან 9—1 საათ. 3) საწყობი ხე-ტყის ორთქლით სახერხ ქარხანაში, ბალახვანის ქუჩა, კ. დათეშიძესთან.

**საზოგადოების უმთავრესი დამაარსებელნი:** დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე, მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, იაკინთე გიორგის ძე ჯებაშვილე, გიორგი ალექსანდრეს ძე ქარსიძე, გენადი გიორგის ძე ალავიძე და ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე. 4—3

# დღეს.

**წერილები.**

ვასილ წერეთელი—საქართველოს საკუთარი სოციალ დემოკრ. არა ჰყავს.

ირ-დი—ჯარის გარეშე.

---

თ. ხუსკივაძე- ორი მომენტი.

ს. ყიფიანი—საკვირაო.

**ცნობები.**

ლეჩხუმში ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა. აიღო სოფლები: დღნორისა, ჩორთისა და საჩხეური. დაატყვევეს რამდენიმე კაცი და ხელთ ვიგდეთ თოფები და პატრონები. გერმანიიდან ქართველი ჯარის კაცების ერთი ნაწილი მოდის. გენერალი მაზნიაშვილი თბილისისაკენ გაემგზავრა.

---

**ქუთაისი 11 აგვისტო.**

**საქართველოს საკუთარი სოციალ-დემოკრატია არა ჰყავს.** მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სოციალ დემოკრატია რევოლუციამდის რუსეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიის ნაწილს წარმოადგენდა, საქართველოს სოციალ დემოკრატიის შექმნის ფიქრი კი არაოდეს არა ჰქონია.

ამაოდ ეუბნებოდენ მას: თუ კი ყველა სხვა ერს საკუთარი სოციალდემოკრატია ჰყავს, საქართველომ რით ვერ დაიმსახურა ეს უფლება?! პირიქით, ისტორიული, კულტურული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები ხელს უწყობენ, რომ არათუ საკუთარ პოლიტიკური პარტიები, არამედ საკუთარი სახელმწიფოც კი შექმნასო.

იმავე დროს პარტიის მთელი შემადგენლობა ლიდერებიდან დაწყებული სოფლის პროპაგანდისტებამდის ჰქადაგებდა, საქართველოს ავტონომია და დამოუკიდებლობა ბატონყმობას დააბრუნებსო.

რუსეთის რევოლუციამ ჯერ რუსეთი დაანგრია და შემდეგ ამიერ კავკასიის რესპუბლიკა. და მათს ნანგრევეზე საქართველოს დამოუკიდებლობა აშენდა.

მაგრამ ჩვენმა სოციალ დემოკრატიამ დამოუკიდებელ საქართველოში აღარ იცის, რა უწოდოს თავს.

რუსეთის სოციალ დემოკრატიის სახელი ძალაუნებურად უნდა უარეყო, ვინაიდან იქ თითქმის აღარ არიან მენშევიკები, რომელთაგანაც ჩვენი სოციალ დემოკრატიის დიდი უმეტესობა შესდგება.

მეორე მხრით ტრადიცია ნებას არ აძლევს ჩვენს სოციალ-დემოკრატიას, უწოდოს თავს „საქართველოს პარტია". რა ქმნას, არ იცის: ორ ცეცხლს შუაა. და პარტიას დიდხანს არავითარი სახელი არ ერქვა.

ბოლოს, ვინაიდან უსახელობა შეუძლებელია, პარტიამ შუა გზა აირჩია და უწოდა თავს „ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტია" (იხ. „ერთობის" ნუმრები).

მაგრამ რას მოასწავებს ეს? ნუ თუ იმას, რომ ხსენებული პარტია სახელმწიფოს გარეშე დგას? მაშინ რისთვის ღა უპირავს ხელში საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის სადავე?! და რა ნება აქვს პარტიას, რომლის წევრებადაც ადერბეიჯანელი და არაქართველი სომხები, თათრები და რუსები არიან, ჩაერიონ საქართველოს შინაურ საქმეებში?!

რასაკვირველია, ეს არანორმალური მოვლენაა. მაგრამ კეთილ ინებოს ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიამ და აღიაროს, რომ საქართველოს საკუთარი პოლიტიკური პარტიები მასზე ნაკლებ არა ზრუნავენ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენობისათვის.

**ვასილ წერეთელი.**

---

# ჯარის გარეშე.

საქართველო იმ ხანაში იმყოფება როდესაც ფრთა უნდა გაშალოს. ერის სახელმწიფურმა დამოუკიდებელმა ცხოვრებამ, დღეს უნდა გამოაშკარავნოს და გაფურჩქნოს ერის ნიჭი და ენერგია სხვადასხვა დარგში, რაიც მიუცილებელია საქართველოს სახელმწიფოს სიმტკიცის ბჭენის შესაქმნელად.

თანამედროვე ძლიერ სახელმწიფოთა ცხოვრებაში შეიარაღებულ ძალას, ჯარს უპირველესი და მთავარი ადგილი მიეკუთვნა, სინამდვილეში ისე ხდება, სახელმწიფოს არსებობა კულტურულად მდიდარია იგი თუ გაუნათლებელ ღარიბი მას მხოლოდ ერთად ერთი მუდმივი ჯარი იცავს.

ნორჩი საქართველო რომელიც მაისის 26 დან თავის ფუძის გამაგრებას შეუდგა მშობლიურ სახელმწიფურ აშენებლობას ეწვია და ძლიერ საჭიროებს ჯარს, ჯარს რეგულიარულს ერთ მთავრობის მორჩილს შიგნით შეგნებულს, მაგრამ სასტიკ დისციპლინაზე დაწყარებულს. და დღეს თუ გვახარებს ქართველი ერის თავისუფლება თუ ვინმემ იწამა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს ჯარის წყალობით. საქართველოს მთავრობა ჯარის საშუალებით ლაპარაკობს რუს ბოლშევიკთა ბრბოსთან ოსის ნაციონალისტებთან და ჯარისვე წყალობით სჯის შინაურ ნაძირალებს და ხულიგნებს.

დღეს თუ ანგარიშს უწევენ საქართველოს სახელმწიფოს მას საერთაშორისო ძალაში შესულად რაცხენ, ეს ქართველი მხედრობის სიმამაცით და განსაცვიფრებელ ერთგულებით აიხსნება.

თუ ჯარი არ გვეყოლა ისე გავქრებით როგორც 1912 წ. შობილი ალბანეთი, რომელსაც საკუთარი ჯარი არ ჰყავდა და რომლის დამოუკიდებელი არსებობა ადრიანოპოლის სამშვიდობო მოლაპარაკების ერთ ერთ მუხლის მასალათღა დარჩა. ისინი შესცდენ რადგანაც იმთავითვე ჯარის ორგანიზაციის საქმეს ჯეროვანი და სესაფერი ყურადღება არ მიაქციეს.

მამაც და მტკიცე რკინისებურად შეკავშირებულ ჯარს თან ახლავს თავისი განსაკუთრებული ტრადიცია. ჯარში ფორმას, ტანთ ჩაცმულობას, სიარულის წესს და სხვა წვრილმანებს თავისი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის დაქცევასთან ერთად სამწუხაროდ საქართველოში არ მოხერხდა მყისვე ჯარის ნაციონალიზაცია და ... მებრძოლი ჯარის კაცები უპატრონობისა გამო რუსულ ბოლშევიზმის მსხვერპლი გახდენ. მაშინ გამოსავალ გზად ჩასთვალეს პარტიული რაზმები და გვარდიების დაარსება, რაზედაც ფული ბევრი დაიხარჯა, ხოლო ბრძოლის ველზე შეგვარცხვინა და სახელოვან ქართველ ჯარს სახელი გაუტეხა.

დღეს სიხარულით გამოვსთქვამთ, რომ ზემოხსენებულ სენისგან ვთავისუფლდებით ქართველი რეგულიარ ჯარის სიმამაცე მისი მხნეობა, ლომობა, ვაჟკაცობა, კავკასიონის ქედმა კვლავ ამცნო ქვეყანას. ქართველები ისევ გმირები არიან თუ კი მათ ერთობა და ხეირიანი მეთაური ჰყავს. რეგულიარი ჯარის უპირატესობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს საქმით დამტკიცდა სხვა და სხვა ფრონტებზე, სადაც ერთ მუჭა ქართლის ჯარმა მრავალ რიცხოვან მტრებზე გაიმარჯვა. ახლა გვმართებს ზედმეტი თანამშრომლობა ვაწარმოოთ ჯარის შედგენის საქმეში.

მობილიზაცია სწარმოებს, ხალხი იკრიბება, დეზერტირობა იმ ნაწილებში სადაც საქმე ოდნავ მოწესრიგებულია სრულიად არ არის.

ზოგიერთი ნაწილი დღიდან ორგანიზაციისა სულ ბრძოლის ველზე იმყოფება მიუხედავად ამისა მისი სულიერი განწყობილება საუცხოვოა და აღტაცებით ეგებებიან როცა გაიგებენ სხვა ადგილებში ქართველების გამარჯვების ამბავს და თავადაც სურთ რომ გმირობა გამოიჩინონ. სამწუხარო ის არის, რომ სამხედრო მთავრობას ბევრი ისეთი კაცები ჰყავს სამხედრო საქმეში, რომელთაც სამხედრო საქმის არაფერი ესმით. ხშირად ესენი დიდ გაუგებრობას ბადებენ.

ამას წინად ერთერთ ფრონტზე საჭირო იყო ხარბაზნის ყუმბარა. (გრანატა) მომწოდებელმა არა სამხედრო პირმა ვერ გაარჩია და გამოგზავნა „შორაპნელი" რამაც საქმეს ზიანი მოუტანა. გარდა ამი-

---

# ორი მომენტი.

(განცდა.)

შემოდგომის გრილი დღე იყო. მსუბუქი ნიავი მავშურად ცელქობდა და თავის სისინით, შემოდგომის მზის სხივებს, ისედაც მკრთალს და სიცოცხლეს მოკლებულს, სითბო-სიმხურვალეს უფრო უკლებდა.

მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ქართველის გული განუსაზღვრელი სიხარულით ტოკავდა.

რაღაც უჩვეულებრივო მხიარულების სხივი აშუქებდა მთელს საქართველოს. ეკლესიებში, მხიარულების ნიშნად, ზარები ზუზუნებდენ და მლოცველებს ღვთის სადიდებლად თავს უყრიდენ.

სიონი ბრწყინვალე სხივებში ცურავდა და თავისი, დღემდის დადუმებული კედლები, სასიხარულოდ აემეტყველებია, სულ ენად გადაექცია.

ხარობდა ერი.

ლიტანიობდა მთელი ქვეყანა.

ღაღადებდენ ისტორიული წარწერანი.

მეტყველობდენ წინაპართა საფლავნი.

გალობდა ერი, ბერი, მთელი ეკლესია ყველგან გაისმოდა სასიამოვნო ხმები: „აქსიოს კირიონ!" „აქსიოს კირიონ!-ო" მეორდებოდა იგისიონის სივრცეში, ბრუნდებოდა უკანვე და მკვიდრდებოდა სამუდამოდ ჩვენს ხსოვნაში.

მთელი ტაძარი ერთის აზრით, ერთის გრძნობით გამსჭვალულიყო. ყველაფერი ქვეყნიური დაევიწყებია და სადღაც, სხვა სფეროში, ოცნების სივრცეში დაფრინავდა.

ყველას თვალყური სიონის კარებისაკენ მიეპყრო.

მათ უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მოსვლას ელოდა.

— აგერ, სიონის კარებში კათალიკოსიც გამოჩნდა, ასტყდა ზარების რეკა-ზუზუნი. ზარებს ბანი მისცა სიონის კედლებმა. აღაღადდა მთელი ეკლესია. გაცოცხლდა ქართველის გული, გაიღო მისი, ასი წლის მონობის დროს დახურულ-დაკეტილი კარები.

აღფრთოვანდა ეროვნული გრძნობანი და მოვრთეთ ყველამ ღაღადი.

გალობდა სიონი. ვგალობდით მორწმუნენი და ვსტკბებოდით ამ წუთიერის ბედნიერებით, რომ უცებ მოისმა თფილელ მიტროპოლიტის იმედით სავსე სიტყვები:

— ნურაფერი შეგაშინებს, უნეტარესო მამათ მთავარო!

ჩვენ ყველანი შენთან ვიქნებით! მუდამ გვერდში გეყოლებით, ძალა ენერგიას გავიასკეცებთ და დღეს აღდგენილ საქართველოს ეკლესიას მტერს არ მივსცემთ, არავის დავანებებთო!

— მწამს!.. მამხნევებს თქვენი სიტყვები! გულწრფელ იქნება ჩემი სამსახურიც! არ შედრკება ჩემი გული მტრის წინაშე. მთელს ჩემს სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთ, თქვენ განაცვალებთ თქვენთვის მიჩუქნიაო!

უპასუხა მიტროპოლიტს, აღსავლის კარებში დაჩოქილმა პატრიარქმა და თვალებიდან ცხარე ცრემლები გადმოუშვა.

ეს იყო შარშან, ჩვიდმეტ წელს.

ამის შემდეგ სულ ცოტა ხანმა განვლო.

ივლისის ცხელი დღეები იდგა.

ქალაქში სუბუქი და გრილი ნიავი სისინის მაგიერ აღმოსავლეთის ცხელი ქარი ჰქროდა.

თუმცა ძლიერ ცხელოდა, მაგრამ ქალაქი მაინც დღესაც ფეხზე იდგა.

ქართველობა დღესაც აღელვებული მოძრაობდა.

სიონი დღესაც ამეტყველებულიყო, მაგრამ ამას ყველაფერს უსაზღვრო მწუხარების, მწარე გულის ტკივილის შავი ზეწარი ეფარა. ყველაფერს რაღაც ღრმა სამგლოვიარო სახის გამომეტყველება ჰქონდა. გუშინდელი სადღესასწაულოდ გამოწყობილი სიონის ტაძარი დღეს ძაძებით შემოსილიყო და წვრილ ზარების, დროგამოშვებით რაწკუნით, გულსაკლავად კვნესოდა, ცრემლებსა ღვრიდა. ხალხი ღელავდა და უკმაყოფილოდ გმინავდა.

ღრმა მწუხარებას მისთვის გული დაესერა, ცხარე ცრემლით ტირილს, ხმა ჩაეწყვიტა და ამ საერთო მეხის დაცემას ეროვნულ ჭირვარამს, ჩურჩულით, ძლივს გასაგონ ხმით, ერთმანეთს უზიარებდენ.

— აგერ, ჩვენი დიდება, ჩვენი სიონიც.

ის სიონი, რომელმაც გუშინ მისთვის ტანჯულ-წამებული მამათ მთავარი კირიონი მშობლიურათ გულში ჩაიკრა დღეს კირიონივე გულ-მკერდგაპობილ გვამს ცივ სამარეს აბარებს და „აქსიოს„ მაგიერ „სულთათანას" უგალობს.

დადგა კვნესა გოდების ჟამი.

საერთო მწუხარებით გაიჟღენთა ტაძრის კედლები.

დიდ პიროვნების ტრაღიკულად დაკარგვამ აღზრა მწარე ფიქრები. ატეხა მის გარშემო უცნაური, მითქმა-მოთქმა, განგაში, ცრუ მოსაზრებანი. მოიწამლა გონება. გაცრუვდა ტკბილი იმედები. გამიტაცა მწარე ფიქრებმა წამიყვანა შორს, შორს... ეკლესიის გუმბათს ამოშორა და აქ კი ცა უცებ მოიღრუბლა. ჭექა-ქუხილმა გაანათა ცის ტატნობი. ქარმა მირეკ-მორეკა ღრუბლის კონები, ერთად შეჰკონა მის ნაფლეთები და კლდის ნანგრევებივით აქეთ-იქით სიონის გუმბათს თავზე წამოაყუდა. ღრუბლებიდგან ხელოვნურად შექმნილ კლდის ნაპრალებში, ვიღაც ტანჯული სახის მკრთალი აჩრდილი მოსჩანდა.

კლდის ნაპირას, ცივ ქვაზე მუხლმოდრეკილიყო, ღრმა ფიქრებს შეეპყრო, და თავდავიწყებული სადღაც, უსაზღვრო სივრცისაკენ, გაიყურებოდა.

ხან, ძირს ყვავილ ვარდებში ჩაღგმულ კუბოს, აკვირდებოდა და გულნატკენი თავის თავსვე განცვიფრებით ეკითხებოდა.

— ეს ვინ არის?

აი ის!!

ის აი, ეკლესიის კუთხეში, რომ მიმალულა და სინიდისის ქენჯნით სახე შესცვლია?! ან კიდევ ის, აი ხალხში რომ დაძრწის და უცნაურ ხმებს ჩემზე ავრცელებს?

ღმერთო ჩემო ვის რა დაუშავე? ნეტავი რას მერჩიან? ღეში ხომ მანდ დაგიტოვეთ, სული კი ჩემი საკუთრებაა, ის მაინც დამანებეთ. რაღას მერჩით რას? სთქვა ეს და მწარედ აქვითინდა.

მის ქვითინზე ღრუბლები შეინძრენ.

მოღრუბლულმა ცამ წარბები გამართა, სახე გადიწმინდა და უცნობის აჩრდილი ღრუბლების ნაფლეთებში სადღაც მიიმალა.

ამასობაში მეც გამოვფხიზლდი.

სინამდვილე თვალწინ მიდგა.

კირიონის გვამს უკვე სამარეში ასვენებდენ ხალხი მიდიოდა. სიონი კი ისევ გულ საკლავად კვნესოდა, ცრემლებსა ღვრიდა.

**თეოფ. ხუსკივაძე.**

---

# საკვირაო საუბარი.

საბოდიშო შესავალი; მხოლოდ ინგლის-გერმანეთის ორიენტაცია.

ამ ორიენტაციებს ვუმადლოთ, თუ სოციალისტებს?! რაც ოდესმე საფრანგეთში, ის ჩვენში! ყველაფერი პოლიტიკური და არაფერი ეკონომიური, სოციალური და მორალური ავტოკეფალია და მშიერი ყვითელი სამღვდელოება. საქართველოს „გასუვერენობა" და მისი გავერანება. მანდილოსნების გაორკეცება და ერის გაძლიერება. სასურსათო კომიტე-

სა ჯარი და მისი მოქმედება ხასიათდება ერთგვარის სისწრაფით, ბრძანების დაუყონებლივ შესრულებით, დღევანდელი მეთაურები კი ამას მოკლებული არიან და ჯარში „სიზარმაცე“ს იწვევენ ერთ ადგილას გაჩერებით. მთავრობა ყოველთვის უნდა ცდილობდეს ჯარში რკინის წესრიგი დაიცვას და მისი სურსათის განწყობილება ყოველთვის ანგარიშგაწეული იყოს.

თავის დროზე სურსათის ტანისამოსის, ჯამაგირის, თამბაქოს მიწოდებას ჯარზე დიდი გავლენა აქვს.

მთავრობა და საზოგადოება მოვალეა ჯარის საკითხს სიფხიზლით მოეკიდოს და მისთვის როგორც საქართველოს არსებობის უმთავრეს ძალისთვის არავითარი საშუალება არ დაზოგოს.

ირ-დი.

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

სამხედრო სამინისტროს წინადადებით მთავრობამ დაადგინა მიეცეს ბოკუჩავას 9807 მან. 10 მილიონიან თანხიდან, უკრაინაში მყოფ ქართველების გადმოსაყვანად.

— განათლების მინისტრის მოხსენება ჯარიდან მასწავლებლების და მოსწავლეთა განთავისუფლების შესახებ სამხედრო მინისტრს გადაეცა თავის აზრის გამოსათქმელად.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას სთხოვა 2008.000 მან. იქნეს გადადებული მედიკსანიტრულ განყოფილებისთვის ეპიდემიასთან საბრძოლველად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა კავკასიის არქეოგრაფიულ საზოგადოების გაუქმების შესახებ. მოსამსახურეებს სალიკვიდაციო მიეცემათ,

— მთავრობამ განიხილა განათლების მინისტრის მოხსენება საშუალო სასწავლებლების შესახებ. დაადგინა დაევალოს განათლების მინისტრს შეადგინოს პროექტი არა ქართველთათვის ცალკე გიმნაზიების დაარსების შესახებ, რომელ გიმნაზიებშიაც მიღების დროს უპირატესობა მიეცემა საქართველოს ქვეშევრდომთა შვილებს.

## ეროვნულ საბჭოში.

### სკოლების ნაციონალიზაცია.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში სახალხო განათლების მინისტრმა სკოლების გაეროვნების შესახებ კანონპროექტი წარადგინა.

### საქართველოს რესპუბლიკის ღერბი.

ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ხელოვნების კომისიამ თანახმად პროფესორ ჯავახიშვილის წინადადებისა შეიმუშავა საქართველოს სახელმწიფოს ღერბი. ღერბი წარმოადგინეს თეთრ გიორგის, რომელიც გარემოცულია 7 ვარსკვლავით. ღერბის დასახატავათ კონკურსი დაინიშნა.

## ბათომის პლებისციტი და გერმანია.

გერმანიის დელეგაციის უფროსი გენ. ფონ კრესი აუწყებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ამ უკანასკნელის მიერ აღძრული პროტესტი ბათომში მომხდარ რეფერენდუმის შესახებ, მან შეატყობინა ბერლინის მთავრობას. ეხლა გენ. ფონ-კრესი ატყობინებს ჩვენს გარეშე საქმეთა სამინისტროს გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულ ცნობას, რომ გერმანიის ელჩის სტამბოლში მოუვიდა ინსტრუქცია შეატყობინოს ოტომანის საიმპერატორო მთავრობას შემდეგი: ის ფაქტი, რომ ოტომანის მთავრობამ ბათომში ამ წლის 14 ივლისს თვით მოაწყო პლებისციტი სხვათა მონაწილეობის მიუღებლათ, ეწინააღმდეგება ბრესლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის დადგენილებას, რომლის ძალით წესწყობილების დამყარება სამს (ბათომის, ყარსის და არდაგანის) ოლქში უნდა მომხდარიყო თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ამის გამო, თუ ვინიცობაა, რომელიმე ამ სახელმწიფოთაგან განაცხადებდა პროტესტს ოტომანის მთავრობის წინაშე ამ ნაირ მოქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ასეთი გამოსვლა კანონიერ საფუძველს მოკლებულად ეცნო.

## გერმანელი მრჩევლები სამინისტროში.

გერმანიის საგანგებო დელეგაცია განმარტავს, რომ მან საქართველოს მთავრობისაგან ამას წინად წინადადება მიიღო, რომ სხვადასხვა სამინისტროებში მრჩევლებად გერმანელები დაენიშნათ. დელეგაციამ ეს დაუყოვნებლივ ბერლინში აცნობა, საიდანაც მაშინვე გამოგზავნეს მაიორი გრაფ ვოლფ-სეკენდი, რომელიც, ამ დღეებში ჩამოვა აქ. დელეგაცია აცხადებს, რომ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომ ფინანსთა სამინისტროსთან მრჩევლად თურქესტანში კონსულად ყოფილი, ვინმე ბაუმგარტენი დაენიშნოთ, სიმართლეს არ შეეფერება, ვინაიდგან თურქესტანში გერმანიას ბაუმგარტენი კონსულად არავინ ყოლია და ასეთი გვარის მატარებელი არც დელეგაციაში ირიცხება ვინმე და არც არავის იცნობენ ასეთს.

## გენერალ სუმბათაშვილის დეპეში.

(სამხედრო მინისტრს).

8 აგვისტოს შუადამისას ტყიბულის ჯარი პოლ. მაქარიაძის მეთაურობით გადავიდა შეტევაზე და სოფ. ძონორისას, სამი მხრით შემოერტყა, რომლის ასაღებათ ერთი თვე დაუცხრომელი ბრძოლა გვქონდა. მტრის განუწყვეტელი თოფების გრიალი ჩვენებს საშუალებას არ აძლევდა სრულიად დაეკავებიათ ს. დონორისა. ჩვენი არტილერია საუცხოოდ მოქმედებდა და რამოდენჯერმე დაიხსნა ჯარი ცუდ მდგომარეობისაგან. დილას გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა და ძალა არ აქვთ გამაგრდენ, რის გამო შეუდგენ ნელ-ნელა უკან დახევას. ჩვენები შევიდენ სოფელში და ცეცხლს მისცეს 7 სახლი, სადაც თავს იფარავდენ ბანდის უფროსები. ჩვენის მხრით დანაკლისი უმნიშვნელოა. ხელში ჩაგვივარდა მრავალი „ვინტოვკა“, „პატრონები“ და სხვა მასალები.

9 აგვისტოს ჩვენი ჯარი დაედევნა რა მოწინააღმდეგეს, არ აძლევდა საშუალებას გამაგრებულიყვენ ულდატეხილზე, სადაც წინასწარ ჰქონდათ გამზადებული სანგრები.

ზარბაზნების საშუალებით ჩვენმა ჯარმა მიწასთან გაასწორა მათი სანგრები, რომლის შემდეგ მოწინააღმდეგემ უწესრიგოთ უკან დაიხია. შემდეგ ჩვენებმა დაიკავეს სოფელი ჩორთისა და საჩხეური ს. დერჩი დღემდის გახვეულია არტილერიის ცეცხლში. ტყვეთ ჩაგვივარდა ბანდის მეთაური დარახველიძე და ერთი პოდპორუჩიკი. ჩვენმა პაეროპლანებმა ს. ნიკორის ძირში, სადაც ბოლშევიკებს შტაბი აქვთ, ჩაყარა 9 ფუთიანი ყუმბარები. ჩვენი ჯარი მამაცურად იბრძოდა.

ტების და კოოპერატორების უსამართლო აუგი!

დამიგვიანდა, მკითხველო, შენთან საკვირაო საუბრის გამართვა, მაგრამ ამის გასამართლებელი საბუთები ბევრი მაქვს და მათშორის იგი რომ ასეთ ავსა და შავ დროს ვის მეტს ვერას მოგახსენებდი.

ახლაც ვერ შეგპირდები ბევრი კაი რამეების ამბობას, მაგრამ სულ არარაობას ცალუღელი ხარი სჯობია, ნათქვამია.

მაშ დავიწყოთ კარგ-კარგებიდან და გვერდში ამოვუყენოთ ზოგჯერ ავიც. მოვყვეთ იქიდან რომ ჩვენმა პარტიებმა და მათმა ორგანოებმა ყური გამოგვიჭედეს მახლობელი ორიენტაციებით: იყო ორიენტაცია რუსული, თათრული, მენშევიკური, ბოლშევიკური, ორიენტაცია აღმოსავლეთისა, დასავლეთისა და სხვანი, მოგახსენებთ, რომ ესენი არც ერთი არ ყოფილა; თურმე იყო და არის ახლაც მთელ დედამიწაზე ორი მოწინააღმდეგე ორიენტაცია.

ერთი — ინგლისური, მეორე — გერმანული: გერმანეთი და ინგლისი ორმოცდაათი წელიწადია ერთმანეთის მეტოქეობაში ათენ — ალამებდენ. ამ სახელმწიფოებში ერთი მეორის გაუგებრად არაფერი არა ხდება: ისე უდარაჯებდენ ერთმანეთს, როგორც კარგი მონადირე ნადირს. ერთის სამხედრო ნავთსაყუდელში თუ დრედნოუტი გაკეთდებოდა, უთუოდ მეორესაც იმასთანავე უნდა გაეკეთებია ან დრედნოუტი, ან წყალქვეშა ნავი. ერთი თუ რომელიმე მახლობელ, ან შორებელ სახელმწიფოს დაუმეგობრდებოდა, მეორეც მაჰანკლებს მიუგზავნიდა ამა თუ იმ დასამეგობრებელ სახელმწიფოს.

ამ ნაირად ორმა მეტოქე სახელმწიფომ მთელი ევროპა ორ სისხლის მსმელ ბანაკად გადააქცია

და აჰა, გამოვიდენ საბრძოლველად ორი დიდი პოლიტიკური აქლემი თვის-თვისი, მოყვრებით და ძლიერებით; ვინც გზაზე შეებორძიკათ და ალღო აილო, უძლიერესს მიემხრო და თავი გადაირჩინა, ვინც ვერ მოახერხა მოჰიდავეთა ძლიერების გაზომვა, კოზაკივით შუა მოემწყვდა და გამოიჰყნტა.

აი, ჩვენც შევხვდით გზაში ამ ორს ორიენტაციას და რომელი წამოგვკრავს ფეხს და რომელის მსხვერპლი ვიქნებით, ძნელი გამოსაცნობია.

ეს კი ცხადია, რომ გერმანიის ორიენტაცია ჯერ თითქო გვილიმის და შესაძლებელია, საქმე კეთილად დაბოლოვდეს, თუ ჩვენ ჭკვიანად მოვიხმართ, რასაც ამ ორი საწინააღმდეგო ორიენტაციის შეტაკების დროს გარემოება გადმოგვიგდებს.

ჩვენსა და რუსეთის სოციალისტებს ისე ჰგონიათ, თითქო რაც რუსეთსა და ჩვენში რევოლუციონური რამე მოხდა, მოხდა მათი წყალობით, მათი ხერხით, მათი მოძღვრებით, მათი შთაგონებით, მათი ხალხზე ზეგავლენით, თითქო მაგათ შექმნეს რევოლუციონური სული მთელი ხალხისა და სხვ. სწორეთ ამიტომაც გაიმეორეს, ან უკედ რომ ვსთქვათ უნდოდათ, ჩვენ ხალხს გაემეორებია ყველაფერი ისე და ისეთი მასშტაბით, როგორაც და რა ზომითაც იგი მოხდა საფრანგეთში.

ბილეს საფრანგეთის რევოლუციის დროის ტერმინები და ისე აბრიალებდენ, და აფრქვევდენ, როგორც ბუირი და ლომის ჩხო: ამ ტერმინებზე აწყობდენ ცხოვრებასაც.

იქაც იყო დამფუძნებელი კრება, აქაც მოიწვიეს; იქაც გარეკეს იგი, აქაც გარეკეს; იქაც გასწყვიტეს არისტოკრატია, აქაც არისტოკრატათ ინგვარიშეს ოდესმე თავადათ ყოფილის დაჩიჩავებული შვილი შვილები და დონკიხოტისებური ომი აუტეხეს, იქაც იყო ტერორისტები, აქაც გავშელდნიერდით ტერორით, იქაც იყო დირექტორია, აქაც-იმას მსგავსი რაღაც; საფრანგეთშიც იყო დიქტატურა, აქაც

რამოდენიმეჯერ სცადეს და სხვადასხვა. ნურას ვიტყვით მიწის დეკრეტზე, რომელიც ისე მოუფიქრებელი და შეუფერებელი გამოდგა, რომ არ იცი, რომელი რომელს გაასწრებს: მთავრობას ამოიჭამს დეკრეტი, თუ დეკრეტს უკლისად გადაყლაპავს მთავრობა, მთავრობას გააუქმებს მისგან მიწით გაბედნიერებული ხალხი, თუ თვით მთავრობა გაწყვეტს ხალხს დეკრეტის განხორციელების გამო გამოწვეული ანარქიის მიხედვით.

ასე იყო, თუ ისე, კარგი იყო, თუ გლახა რაც იყო და რაც მოხდა, ყოველივე ეს იყო და არის პოლიტიკური და არა ეკონომიური, არა სოციალური, არა მორალური.

და ჩვენი რევოლუციონერები კი ხალხს ეკონომიურად და მორალურად მაღლა აყვანას ჰპირდებოდენ და სწორეთ ამ დაპირების შედეგად უნდა ვიანგარიშოთ, რომ მთელი მართვა-გამგეობა ჩვენში სოციალისტებს არგო ბრმათ მოსიარულე ბედმა.

ჩამოვთვალოთ ეს უშინაარსო, უეკონომიო და უმორალო პოლიტიკური ცვლილებანი, რომელიც ხსენებული ორიენტაციების მოგზაურობამ გამოიწვია ჩვენში და არა ბუნებრივმა რევოლუციამ.

ჯერ იყო და საქართველოს ეკლესია ასი წლის მონობის შემდეგ რუსეთის უწმინდური სინოდის უღლისაგან განთავისუფლდა. გაგვეხარდა და მაშინვე დავაყენეთ კათალიკოსი, ავირჩიეთ მიტროპოლიტი, საბჭოები კათალიკოსისა, მიტროპოლიტისა, ოლქებისა. დავარქვით ყველა ამაებს ძველ ძველი სახელები და ხელში შეგვრჩა მარტო სახელი, სახრავი კი არარც ძველი, არარც ახალი... არის გარეგნობა, მაგრამ შიგ არაფერი ყრია, არის პოლიტიკური ცვლილება; ეკონომიურმა, სოციალურმა და მორალურმა კი შენი და ჩემი პირი წაიღო: გვეგონა, თუ ჩვენს გათავისუფლებულ ეკლესიაში სამღვდელოება ახალის ღალადისს მორთავდა; რაც რუსის კალთაში მიდის დროს ენერგია შეენახა და მოეგროვებია, ახლა იფექლა და სულითა და ხორცით მბორგავ ქართველ ხალხს ძველებურად იმედისა და მშვიდობის სიტყვას ეტყოდა, მაგრამ შენს მტერს, ჩვენ რომ მოლოდინი გაგვიქარწყლდა:

ღალადისის მაგიერ სამღვდელოებისაგან ერემიას გოდება გვესმის, და ოდესმე ერის კულტურის წინამძღვარი სასულიერო წოდების პირის სახეზე ცრემლის ნაკადული იღვრება და ეს გოდება და ცრემლი სულ ეკონომიური და სოციალური მოუწყობლობის შედეგია.

წინეთ რომ მღვდლებს რუსის ხაზინა ორიოდე გროშს აძლევდა, ვითარცა თავის ჩინოვნიკებს, ეს პერანგის საყიდლად არ ეყოფა მღვდელსა და მის ოჯახს. და ჩვენ სოციალისტ მთავრობას ეგ წვლილიც არ ემეტება მისთვის, და ცარიელი მუცლის პატრონის ღალადისი მაინც და მაინც ვერაფერი სასიამოვნო სასმენელია.

ან კი რატომ უნდა შეინახოს სოციალისტურმა მთავრობამ სამღვდელოება?

მოგეხსენებათ იოვანე წინამორბედი, მაცხოვარი იესო ქრისტე, და მათ მიერ შექმნილი და დამოძღვრილი სამღვდელოება სოციალიზმზე ღაღადებდენ, ზნეობის ამაღლებაზე, ჩაგრულთა და ტვირთ მძიმეთა ცხოვრების შემსუბუქებაზე ზრუნავდენ და ახლა, ასე უეცრად ჩვენი ცხოვრების ვითომთა სოციალისტურად გადატრიალების ჟამს ეს როლი ძველმა დრომ ნოქრებს, ბოლშევიკებს, მენშევიკებს, „ფედერალებს“, კატორგელებს, წითელ გვარდიელებს და მილიციონერებს დაულოცა.

და ან კი რაღა საკვირველია, თუ მთავრობამ სამღვდელოებას ეს დიდი მოვალეობა ახადა, მისს სარჩოზე რომ არ იზრუნოს და ტყვილა ყოფნისათვის ჯამაგირები არ უწყალობოს!

მაგრამ მღვდელმთავრებმა სამღვდელოების წასაქეზებლად გვარიანი ხერხი მოიგონეს: სულ დეკანოზობის და არქიმანდრიტების ყვითელი ჯვრებით შეამკეს შავი და თეთრი სამღვდელოება.

(დასასრული იქნება).

სამ. ყიფიანი.

# უცხოეთი.

## ბაქო.

განჯიდან ჩამოსული შემდეგს გადმოგვცემს: 28 ივლისიდან სადგურ აჯიქაბულიდან ბაქოსაკენ ენერგიული შეტევა დაიწყეს. აიღეს ომით ბალაჯარი და 31 ივლისს დღის 4 საათზე მიუახლოვდნენ ბაქოს და ბაქოს სადგურის ახლოს ზოგი დიდი შენობებიც კი დაიჭირეს. ამ დღეს ოსმალთა რწმუნებული აღერბეიჯანის სამხედრო მინისტრსა სთხოვდა გამოეგზავნა მუშები და აეკრიფათ ის დახოცილნი, რომელნიც ავსებდენ გზას სადგურ აჯიქაბულიდან ბაქომდი, ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებნი უარსყოფდენ დახოცილთა დამარხვაზე.

1 აგვისტოს ბაქოსთან ახლოს ოსმალებს შეხვდა ჯავშნიანი მატარებლები, რომლებიც ბაქოში 50 დი მოიპოვებოდა. ამ დღეს ოსმალნი იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ სადგურ ბალაჯარამდი.

დაწყებული 28 ივლისიდან 30 ივლისამდი, განჯიდან ოსმალთა ჯარის გასამაგრებლად ყოველ დღე ორ-ორი ეშელონები იგზავნებოდა. უკანასკნელი ეშელონით გაგზავნილ იქნა ყველა მომქმედ ნაწილთა გარეთ მყოფი ასკერები და ორკესტრი.

29 ივლისიდან განჯაში იწყეს დენა დაჭრილმა ასკერებმა. სადგურიდან დაჭრილები მხოლოდ ღამ ღამობით მიყავდათ.

## უკრაინა.

— რკინის გზის გაფიცვების გამო უკრაინის ქალაქებში შიმშილობამ ფართე ხასიათი მიიღო. სასურსათო მატარებლები მცხოვრებთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

— ელისავეტ გრადში გამოცხადდა სამხედრო წესები. 20 ივლისს დახვრიტეს ერთი მუშა, რომელიც პოლიციიდან გაქცევას აპირებდა. სოფელ კონიშში დამსჯელმა რაზმმა დახვრიტა 30 კაცამდის.

— დარბ შუკა — ვადიში გადასწყვეს მოსახლეები, რომლებმაც იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს.

— გლეხთა ამბოხებანი კიევის გუბერნიაში ნელდება. კანევის მაზრაში მღელვარებაა. ნოვგოროდ — სევერსკის მაზრაში გლეხებმა დაარბიეს მემამულეთა ქონება. წაიყვანეს ოთხფეხი საქონელი და სხვა.

## რუსეთი.

**საბჭოთა რესპუბლიკის ღერბი.**

ორთავიანი არწივის ნაცვლად რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ღერბათ საბჭოთა სხდომაზე მიღებულ იქმნა: ნამგალი და ჩაქუჩი ძირზე გადაჯვარედინებული.

**ბოლშევიკები ფრონტს სტოვებენ.**

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ხარკოვის მიმართულებით სტაროველსკის ახლოს, სადაც უკრაინელთა პოლკები იმყოფებო, ბოლშევიკების რაზმები უარსა ყოფენ ფრონტზე დგომაზე და უკრაინელთა წინააღმდეგ მოქმედებაზე. ბევრი მათგანი ფრონტსა სტოვებს და რუსეთისაკენ მირბის.

**კაპიტანი რუსანოვი.**

ცნობილი მფრინავი რუსანოვი, რომელიც საქართველოდან გადაფრინდა, ეხლა სამსახურში ითვლება თერგის ბოლშევიკებთან.

იმ ჰაეროპლანით, რომელიც მან გაიტაცა საქართველოს რესპუბლიკიდან, იგი ზვერავს კავკავიდან გეორგიევსკამდი მთელს რაიონებს და მოწინააღმდეგეთა ძალთა მოძრაობის შესახებ ცნობას აწვდის საოლქო მთავრობას.

## მურმანში.

კემიდან მოსული პირების გადმოცემით რომელნიც იცავდენ მურმანის რკინის გზას, ინგლისელებმა დამცველი რაზმის ერთ ნაწილს ჩააგონა, რომ მოკავშირეთა არმიაში ჩაწერილიყვნენ. პირველად არმიაში მცხოვრებნიც ხალისით ეწერებოდნენ, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. კემში ინგლისელთა რაზმმა დახვრიტა მაზრის სააღმასრულებლო კომიტეტის პრეზიდიუმი, რიცხვით 30 კაცი.

— საბჭოთა მხედრობა და მურმანის მოხალისე რაზმები ვოლოგოდის მიმართულებით წინ მიიწევენ.

— პეტროგრადიდან დაბრუნებული პირების გადმოცემით მურმანელთა არმია პეტროზავოდსკიდან პეტროგრადისაკენ მიეშურება. პეტროგრადის კომუნა თავის დასაცავად ემზადება, მაგრამ პეტროგრადის დასაცავად ლატიშთა დაქირავებული რაზმის, წითელი გვარდიელების მეტი არავინ არ გამოდის. იძულებითი მობილიზაცია მუშათა შორის, რომელიც ამ ჟამად პეტროგრადში სწარმოებს, საბჭოთა მთავრობის დამხობას გამოიწვევს. საბჭოთა წრეებში მღელვარებაა.

# † პორუჩიკი გოგია კიკნაველიძე.

აგვისტოს 9-ს საჩხერის ფრონტზე გულშემზარავი ამბავი მოხდა:

პორუჩიკი გ. კიკნაველიძე ტრაღიკულად გარდაიცვალა.

კიკნაველიძე სულ ახალგაზდა არტილერიის ოფიცერი, — სტუდენტი იყო.

უკანასკნელ დროს იგი მსახურებდა პირველ საარტილერიო ბრიგადის მეოთხე ბატარეაში.

ჩვენ მისი ახლო მეგობრები და ჯარისკაცები ულრმეს მწუხარებით აღვნიშნავთ ძვირფას გოგიას უდროვოთ დაკარგვას. მისი მხნეობა, საქმისადმი სიყვარული და სადი იდეა არ წაიშლება ჩვენს ხსოვნაში.

არტილერიის ჯარისკაცები: გ. მეგრელიშვილი, შ. ლოლობერიძე, ირ. დიდიძე, ს. საყვარელიძე, ყენია, სერ. ყიფიანი, ვლ. ნანეიშვილი და ხელაძე.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**გენ. მაზნიაშვილის ჩამოსვლა.** 10 აგვისტოს სოხუმიდან თფილისაკენ გამგზავრა ჩვენი გმირი გენერალი მაზნიაშვილი, რომელსაც რიონის სადგურზე შეხვდა გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი და სხვადასხვა კითხვებზე ესაუბრა.

◆ **დაჯილდოება.** სამხედრო მთავრობამ 1 ბრიგადის მე-4 ბატარეის უფროსს კაპ. კონსტანტინე იმხნელს, ზეკარში და სხვა ფრონტებზე ანარქიასთან ბრძოლაში გმირობის ჩადენისათვის, მეოთხე ბატარეის ჯარის კაცების თხოვნით, უბოძა ჯარი-კაცის წმ. გიორგის ჯვარი და პოდპოლკოვნიკობა.

◆ **რადიო ტელეგრამის სადგური.** გერმანელებმა ფოთში მოაწყვეს რადიო-ტელეგრამის სადგური.

◆ **შავიქვის გადაზიდვის საქმე.** ამ მოკლე ხანში მოეწყობა შავიქვის გადაზიდვის საქმე შავ ზღვაზე. გემების მიმოსვლა წესიერათ იწარმოებს და მათი რიცხვი საგრძნობლათ გადიდდება.

◆ **საქონლის ჭირი.** ოზურგეთიდან დეპეშით იტყობინებიან რომ გურიის სხვადასხვა სოფლებში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. საჭიროა დახმარება.

◆ **მიტინგი ერობის შესახებ.** დღეს, საღამოს 6 საათზე ქალაქის ბაღში გაიმართება დიდი სახალხო მიტინგი ერობის შესახებ. ორატორები მოწვეულია ყველა პარტიებიდან.

◆ **კრების გადადება.** ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის კრება, რომელიც დანიშნული იყო გუშინ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

◆ **დროებითი თავისუფლება.** ქალაქის საავადმყოფოს ექიმს როდზევიჩს მიეცა ერთი თვის თავისუფლება.

◆ **ქალაქის თავის მოადგილე.** რადგან ამ ჟამად ქალაქის თავი და მისი ამხანაგი თევზაძე ქუთაისში არ იმყოფებიან, დროებით ქალაქის თავის მოვალეობის შესრულება მიენდო გამგეობის წევრს ა. მეფისაშვილს.

◆ **ხოლერა.** ხოლერით გარდაიცვალა, მესხეთის ქუჩის მცხოვრები გიორგაძე. სალორიის აგარაკში ცხაკაის ცოლი, რომელსაც ამას წინეთ ხოლერით ქმარი გარდაეცვალა. გარდაიცვალა აგრეთვე მისი ლეკავა. არის ხოლერის ნიშნებით. ავათ არის ჯანელიძე.

◆ ქალაქის თავი. ქალაქის თავი დ. კალანდარიშვილი ქალაქის საქმეებისთვის ტბილისს გაემგზავრა,

◆ ფოთის **ნავთსადგურისათვის** ქუთაისის მიმწოდებელი კომიტეტი აცნობინებს ქ. ფოთის მიმწოდებელ კომიტეტს, რომ ყოველგვარი სახელოსნო ნივთები რომელიც ბათომიდან იქმნა გადმოტანილი გადაეცეს ფოთის ნავთსადგურს.

◆ **ლიკვიდაცია.** სასურსათო სამინისტროს რწმუნებულმა გრიგოლიამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ონში სასურსათო კომიტეტს: თანახმად საქართველოს მთავრობის 27 ივლისის დადგენილებისა სასურსათო კომიტეტი გაუქმებულია და მათ არ აქვსთ უფლება რაიმე განკარგულება მოახდინონ, ამიტომ წინადადებას გაძლევთ არავითარი განკარგულება არ გასცეთ და დაამზადეთ ანგარიშები და საქმეები სალიკვიდაციოთ ასეთივე დეპეში გაეგზავნა ცაგერისა და ამბროლაურის კომიტეტებს.

◆ **სოფლელები მთავრობის შესახებ.** როგორც ოკრიბიდან ჩამოსული გლეხები გადმოგვცემენ იქ ბოლშევიკებს ისინი დაუფიცებიათ, რომ იმათ უსათუოდ უნდა იბრძოლონ მუდმივ მთავრობაზე, (ე. ი. ხელმწიფეზე) და არამც და არამც არ დაემორჩილონ მენშევიკების დროებით მთავრობას.

◆ ქართველი ტყვეები გერმანიიდან. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ გერმანეთიდან უკვე გამოსულა ქართველი სამხედრო ტყვეების რაზმი. ამ რაზმში შედის 26 ოფიცერი და 156 ჯარის კაცი.

◆ **გულჩინა ტყეშელაშვილი** გვთხოვს გამოვაცხადოთ რომ 8 აგვისტოს მესხეთის ქუჩიდან წავიდა მისი ქმარი კონსტანტინე ტყეშელაშვილი და დღემდის არსად სჩანს. ვინც რამე იცის მის შესახებ ვთხოვთ შეგვატყობინონ შემდეგი მისამართით: „ძმობის“ სტამბაში, გიორგი ტყეშელაშვილს.

◆ **მოვალეობის მსხვერპლი.** გუშინ ქუთაისში ჩამოასვენეს ცხედარი პორუჩიკ გოგია კიკნაველიძისა, რომელიც საჩხერის ფრონტზე აგვისტოს აჯანყებულ ოსთა ბრძოლაში გმირულად მოკვდა.

◆ **საქართველოს ფლოტი.** საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გადავიდა ფოთში მოყვანილი 3 დიდი სატრანსპორტო გემი „ვიოლეტა“, „მიხეილი“ და „ა. დობროვოლსკი“ და მრავალი წვრილი გემები. ბარჟები, მოტორიანი ნავები, იალქნიანი ხომალდები.

◆ **რედაქციამ მიიღო.** 1. ჟურნალ „კოპერაციის“ მე-4 ნომერი. ჟურნალის შინაარსი: 1) მეთაური-კულტურულ — განმანათლებელი მუშაობის შესახებ“. 2) პროფესორი შარლ ჟიდი — „კოოპერატიზმი“ 3) ია ეკალაძე — „თვითმოქმედება საზოგადოებრივი და პირადი“ (სამუილ სმაილსიდან. 4) ნ. გიბნერი „ინგლისური საკოოპერაციო სისტემა“ 5) გ. ბრეგაძე — “რა იხსნის მშრომელ ხალხს“ და სხვა.

2 თ. მთავრიშვილისა და ამხანგობის წიგნის მაღაზიის გამოცემული ტ. მამალაძის წიგნი: „სამშობლო სურათები“ მოგონებანი გურიის ცხოვრებიდან. წიგნი შეიცავს 90 გვერდს, სუფთად არის გამოცემული და ღირს 1 მან. და 80 კაპ.

## ქ. ფოთი.

კვირას 4 მარიამობისთვეს ქ. ფოთში მოხდა საერობო არჩევნები. ყველა ჯურის სოციალისტები ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ ერთი ბლოკით გამოვიდენ, მაგრამ გამარჯვება მაინც ეროვნულ დემოკრატებს დარჩათ რომლებმაც გაიყვანეს ორი კანდიდატი, სოციალისტური პარტიების ბლოკმა კი მხოლოდ ორი კანდიდატი გაიყვანა.

ხოლერის გამო ქალაქის გამგეობამ მოიწვია ექიმები, რომელნიც ... განიზრახავენ ხოლერის საწინააღმდეგო ... მუშაობა ერთ კვირას გასტანს.

— ფოთში სანოვაგის ფასმა ძალიან აიწია. დღემდე ფუთი ქადის ფქვილი ღირდა 150 მან. მაგრამ დღეს არც ის იშოვება. გირვანქა პური ხუთ მანეთად იყიდება.

— ამ ბოლო დროს ქალაქში წესიერება კარგად არის დაცული.

# კორესპონდენცია.

**დ. საჩხერე.** შორაპნის მაზრაში მას შემდეგომ რაც მთავრობის ჯარი საჩხერეს გასაწმენდათ მოვიდა მობილიზაციის საქმე ჩინებულად მიმდინარეობს. ხალხი ამბობს: ჩვენ მოტყუებული გვყავით და ახლა მთავრობას სოლდათსაც მივსცემთ და ერთგულიც ვიქნებითო, უკანასკნელ დროს კორბოულის საზოგადოებიდან, რომელი საზოგადოებაც ოსებს აქტიურ დახმარებას უწევდა. 120 ჯარის კაცი მოიყვანა სიმ. ფხაკაძის ცხენოსანთა რაზმის ვახმისტრმა ვლ. გოგინეიშვილმა, მათ 42 თოფი თან მოიტანეს.

ჯარის კაცი.

**დ. ანაკლია.** დ. ანაკლიაზე ბოლშევიკთა ბრბომ ორჯერ გაილაშქრა. მთელი სოფელი ცეცხლის ალს მისცეს, დასწვეს სახალხო დაწესებულებანი, შენობები, საწყალ გლეხობის სახლ-კარიც კი.

ბოლშევიკები ყველას ჩხრეკდენ, ცარცვავდენ ტანისამოსს ხდიდენ და ცემა-ტყეპით ისტუმრებდენ. ფოთიდან რომ მაშველი ჯარი ვერ მისულიყო, გლეხებს სრული განადგურება მოელოდათ. მაგრამ ჩვენმა ჯარმა ისინი მალე გაფანტა. ჩვენმა ჯარმა დაატყვევა ბოლშევიკთა ათიოდე მეთაური, და ქურდ-ბაცაცები. ამ მხარის დაწყნარების შემდეგ ჩვენი ჯარი უკანვე დაბრუნდა, დატოვეს მხოლოდ ორმოცი კაცი. მაგრამ საუბედუროდ 6 მარიამობისთვეს ბოლშევიკთა ბრბოები ფარულად დაეცენ ამ მცირე ჯარის ნაწილს. მოკლეს რამოდენიმე ჯარის-კაცი, და რამოდენიმე დაატყვევეს, როგორც გადმომცეს მოუკლავთ პოლ. მდივანი, აგრეთვე ჩვენ ჯარის-კაცებს წაართვეს ტყვიის მფრქვეველები, თოფები და ორიოდე ზარბაზანი, საქმის უმთავრესად გამწვავება ებრალებათ აქაურ ჯარის კაცებს, რომლებიც ითვლებოდენ „პოგრანიჩნი სტრაჟნიკებათ“ და თავიანთი იარაღით ბოლშევიკებისაკენ გადავიდენ.

ვ. სოფლელი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

კბილის ექიმები
მ. ი. ახვლედიანი და
ო. დ. პროშლიაკოვა
ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს. — 2 ს და საღამოს 5 ს. — 7 ..
მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. ... 31

ექიმი
ზ. ა. ეზიკაშვილი
მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

საჭიროა „ნატურშჩიცა“
მოდელისთვის. პირობები და სურათი გაგზავნილ უნდა იქნეს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მხატვარ სანელისთვის.
5—4

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.